

პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური განვითარება

ა(ა)იპ „ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი“

IDMC



შესავალი


- ▶ ა(ა)იპ „ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრმა“ (შემდგომში - „ცენტრი“) წარმატებით განახორციელა სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმირებისა და სწავლების ცენტრის“ მიერ დაფინანსებული პროექტი „პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური განვითარება“ (შემდგომში - „პროექტი“).
- ▶ პროექტის ფარგლებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგები პროექტით გათვალისწინებული სატრენინგო მოდულების შესაბამისად.

პროექტის მიზანი

- ▶ პროექტის მიზანს წარმოადგენდა მულტიკულტურულ გარემოში ტრენინგების ჩატარების გზით პოლიტიკური პარტიების ცნობიერების ამაღლება.
- ▶ პროექტით გათვალისწინებული გრაფიკის (8-11, 13-16, 18-21, 23-26 ივნისი, 28 ივნისი -1 ივლისი, 3-6, 28-31 ივლისი) შესაბამისად, ტრენინგები ჩატარდა თეორიულად მუნიციპალიტეტის სოფელ პანტიანში.

პროექტის მიზანი

- ▶ პროექტში მონაწილეობა მიიღეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა და მონაწილეებს მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია სატრენინგო მოდულებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით, რითაც მიეცათ საშუალება სრული მასშტაბით მოახდინონ საკუთარი უფლებების რეალიზაცია საარჩევნო პროცესში.
- ▶ პროექტის მიზნის შესრულებას ხელი შეუწყო ტრენინგების ინტერაქტიულ გარემოში ჩატარებამ, კერძოდ, პრეზენტაციებმა, დისკუსიებმა, ჯგუფებში პრაქტიკული დავალებების შესრულებამ და როლურმა თამაშებმა.



პროექტის განხორციელების არეალი

პროექტის განხორციელების არეალი მოიცავდა ქვემო ქართლს (რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, წალკა, თეთრიწყარო, ბოლნისი, დმანისი).



პროექტის სამიზნე ჯგუფი

- ▶ პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი წარმომადგენლები.
- ▶ ტრენინგებს დაესწრო კვალიფიციური და არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიების სულ 182 წარმომადგენელი.

პროექტის სამიზნე ჯგუფი

პროექტში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

➤ კვალიფიციური პოლიტიკური პარტიები:

- „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო“;
- „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“;
- „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“;
- „მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველო“;
- „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“;
- „თავისუფალი საქართველო“;
- „თავისუფალი დემოკრატები“;
- „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“;
- „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
- „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“;
- „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“;
- „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
- „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“;
- „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“;
- „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
- „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“;
- „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“.

პროექტის სამიზნე ჯგუფი

➤ არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიები:

- „ახალი მემარჯვენეები“;
- „მემარცხენე ალიანსი“;
- „პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა“;
- „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“;
- „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“;
- „სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“;
- „ქართული დასი“.

პროექტის სამიზნე ჯგუფი



გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები

- ▶ პროექტის განხორციელების ძირითად შემაფერხებელ გარემოებებს წარმოადგენდა:
 - არასათანადო კოორდინაცია უშუალოდ ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიაში;
 - თავდაპირველად ინტერესის ნაკლებობა პოლიტიკური პარტიების მხრიდან;
 - მონაწილეთა მობილიზების პრობლემა ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მხრიდან;
 - დაგვიანებული რეაგირება ჩვენ მიერ დაყენებულ საკითხებზე.

გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები

ცენტრმა აღნიშნული გამოწვევების დაძლევა უზღუნველყო შემდეგი ღონისძიებებით:

- ალტერნატიული საკინტაქტო ინფორმაციის მოძიებით, მათ შორის პარტიების ოფისებში ვიზიტით და ყოველდღიური კავშირით, როგორც პარტიების ხელმძღვანელებთან, ისე რეგიონულ წარმომადგენლებთან და ტრენინგების მონაწილეებთან;
- მაღალკვალიფიციური ტრენერების მოწვევით;
- მონაწილეთა ხარისხიანი სასტუმროთი, საკონფერენციო დარბაზითა და კვებით უზრუნველყოფით.



გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები

მიუხედავად იმისა, რომ პროექტი გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი სირთულით, მათ შორის არსებობდა საფრთხე იმისა, რომ პოლიტიკურ პარტიებს არ გამოეჩინათ პროექტში მონაწილეობის ინტერესი ან მათი მონაწილეობა ყოფილიყო არაინტენსიური, ცენტრმა ზემოაღნიშნული ღონისძიებებით, პროექტის სწორი ორგანიზებით და დაუღალავი კომუნიკაციის შედეგად მიაღწია სასურველ შედეგს, რაც გამოიხატა მონაწილეთა მაქსიმალურ დასწრებაში, მათი ცნობიერების მნიშვნელოვან ამაღლებაში და მათი მადლიერების წერილებში.



დასასრული